


372.9/44.920

სპ. მ. ბაკალათია.

39 (47.9221.4 + 17)



ფეხვური წარწერა

— ლ —

სემეურული-სტრუქტურა

(ეთნოგრაფიული მასალები)

K4.956
3



S. Macalathia.

Matériaux pour l'ethnographie géorgienne.

| | |
|--------|--------|
| ბაგის | № 2205 |
| ბარის | № 3050 |
| ბესიკო | № |
| წიგნის | № 2418 |
| ახალი | № 1097 |

ტფილისი

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფის განყოფილება მე-3 სტამბა

1925.

| | |
|--------|--------|
| ბაგის | № |
| ბარის | № |
| ბესიკო | № |
| წიგნის | № 2418 |

Handwritten text in Georgian script, likely bleed-through from the reverse side of the page.

Handwritten initials or numbers, possibly "200".

მთავლიტი № 1294.

ტირაჟი 1000

წიგნი
000-1-17
თბ.

წინასიტყვაობა.

სქესობრივი დამოკიდებულების ძველ წესების შესწავლას უალრესი მნიშვნელობა აქვს ქართულ კულტურის ისტორიის და მისი უძველესი სოციალურ წესწყობილების გამოსაკვლევად. ამ მხრივ ფშავური „წაწლობა“ და ხევსურული „სწორფრობა“ ფრიად საყურადღებო მასალებს წარმოადგენენ ქართველ ტომთა უძველეს საზოგადოებრივი უჯრედის — ოჯახის წარმოშობის და მამა-დედაკაცთა შორის პირველყოფილ უფლებრივი დამოკიდებულების შესასწავლად.

მაგრამ, მიუხედავად წაწლობა-სწორფრობის ამგვარი მნიშვნელობისა, მათი წესები არამც თუ მეცნიერულად შეუსწავლელია, არამედ მათი წესების მთლიანი და ყოველმხრივი აღწერილობაც დღემდე არ არსებობს, რომ ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარს შეეძლოს მათი სარგებლობა. ეს გარემოება მით უმეტეს სავალალოა, რომ წარსულ საუკუნის მეორე ნახევარში მკვლევარ-ეთნოლოგები, საქართველოს დანარჩენ კუთხეებთან შედარებით, მეტად დაინტერესებულნი იყვნენ ფშავ-ხევსურეთის ეთნოლოგიურ შესწავლით, რომელთა შესახებ, მართლაც, საკმაო ცნობები მოიპოვება ქართულ რუსულ ლიტერატურაში. სწორედ გაუგებარია, რომ თვით ისეთი ქართველი მოღვაწეებიც, როგორც რ. ერისთავი, ნ. ურბნელი და დ. ხიზანაშვილი, რომლებმაც ამ კუთხეს ვრცელი და საუკეთესო ეთნოგრაფიული წერილები უძღვნეს, წაწლობა-სწორფრობაზე სრულიად სდუმან.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დღესაც წაწლობა-სწორფრობაზე მასალების გამოკვეყნება, ზოგიერთ ქართველ განსწავლულთათვის, რომლებიც მშვენიერად იცნობენ ავსტრალიის, ამერიკის და სხვა ველურთა ყოფა-ცხოვრებას, იქნება ახალი უცნაური გაგონება. მიუხედავად იმისა, რომ ფშავ-ხევსურეთამდე ორი დღის სავალი გზაა და მათ ყოველთვის ყველგან ვხვდებით.

ფშავურ წაწლობის შესახებ მცირეოდენი ცნობები მოიპოვება ვაჟა-ფშაველას ფელეტონებში „ფშაველები“¹, „ფშაველი და მისი

¹ გაზეთი „ივერია“ 1866 წ. № 35.

წუთისოფელ“-ში¹, რომელსაც, როგორც მკვიდრ ფშაველს და ცნობილ მოწაწლეს, მე როგორც ფშავეში ვადმომცეს, რასაკვირველია, წაწლობის წესების სრული და ყოველმხრივი აღწერა შეეძლო, მაგრამ შესაძლებელია ეს ჩვეულება მასაც, როგორც ზოგიერთს დღესაც, გარყვნილების ნაშთად მიაჩნდა და როგორც ასეთის, მაზე დაწერილებით შეჩერებას და წერას ის სამარცხვინოდ სთვლიდა. მის ამგვარ განზრახვას, მისივე სიტყვები ამხილებენ: „ახლის ცხოვრების სიომ წაწლობაც გაპრყვნა. დღეს ამ თვალთმაქცურ და-ძმობას ბევრი ცუდი ემჩნევა. ძველ დროში, როგორც მოხუცებულები ამბობენ, რუსთაველური მიჯნურობა ყოფილა, დღეს კი საყვარლად ვადაიქცაო“.

ამგვარივე მოკლე ცნობები წაწლობაზე დ. სოსლანსაც მოეპოვება², რომელსაც აღნიშნული ჩვეულება რაინდობის ხანის ნაშთად მიაჩნია. მისივე აზრით წაწლობა გამოწვეული უნდა ყოფილიყო ფშაველ ქალის სისუსტით, რადგანაც მას მთებში მწყემსად ყოფნა უხდებოდა და რომ მამაკაცთა ძალადობისაგან თავი დაეცვა ის თავის მფარველად ძლიერ ვაჟკაცს ირჩევდა, რომლისთვის მას უმანკო ხევენა-კოცნით ასაჩუქრებდაო. რაც შეეხება ლაშარობის საზოგადო წოლას, ის ამ ჩვეულებას ძველ კლასიკურ მწერლების, კავკასიაში მობინადრე ამაზონელებს უკავშირებს, რომლებიც ყოველს გაზაფხულზე არაგვის, ალაზნის და იორის ნაპირზე ჩამოდიოდნენ, სადაც მათ მამაკაცები ხვდებოდნენ და რამდენიმე დღეს მათთან ატარებდნენ. ამ მოსაზრების გასამართლებლად მას შემდეგი თქმულებაც მოჰყავს: „ბევრი ქალი გადიბოტებს (გაქენდება) ლაშარობას ლურჯახედა“.

რაც შეეხება ხევსურულ სწორფრობას, რომლის შესახებ, წაწლობასთან შედარებით, უფრო მცირე ცნობები მოიპოვება, საილუმლოების ბურუსით არის მოცული. მის წესებს ხევსურები უცხოს არ უმხელენ და ამიტომ მკვლევარისთვის მეტად ძნელი და სახიფათოა ადგილობრივად მის შესახებ სწორ ცნობების შეკრება. ნ. ხუდადოვი თავის ხევსურეთის აღწერაში³, სხვათა შორის, ამბობს: „ხევსურეთში იშვიათად მოიპოვება ახალგაზრდა, რომელსაც ცამეტ წლიდან სატრფო არ ჰყავდეს, მაგრამ არა პლატონიური, არამედ, ეგრედ წოდებული, „წაწალა“ და მიუხედავად ამგვარ დამოკიდებულებისა მათ შორის ორსულობა იშვიათი შემთხვევაა, რომელიც დიდ სირცხვილად ითვ-

¹ „ძველი საქართველო“ ტ. II, გვ. 277—349.

² „Новое Обозрѣніе“ 1886 г. № 760.

³ Н. А. Худодов, „Замѣтки о Хевсуретин“, გვ. 13.

ლება და ამის გამო მათში სქესობრივი აქტი არა ნორმალურად თავდებოა. ✓

ამგვარი სქესობრივი დამოკიდებულება, მისივე აზრით, გამოწვეული უნდა იყოს ხევესურეთის ბუნების სიმწირით და მცხოვრებთა ეკონომიური გაჭირვებით. მეორე უფრო მცირე ცნობა ამავე სწორფრობაზე მოეპოვება ვინმე ბარისახოელს¹, რომელიც ამბობს: „რომ ხევესურებს აქვს ერთი საძაგელი ჩვეულება „წაწლობა“, რომლის მიხედვით ქალი და ვაჟი ერთმანეთს დაძმობას ეტყვიან, დაღევენ ლუდს, ერთის თევზიდან ორივენი და მაშინ იმათ აღარ ეთაკილებათ ერთად წოლა სადმე „ჭერხოში“, ან საჩალეში. ეს დაძმობილება იციან მხოლოდ ერთმანეთში და არასოდეს გარეშე პირთან, რაც სასტიკად აკრძალულია“. აი ყველა ის მცირეოდენი და ცალმხრივი ცნობები, რომლებიც დღემდე მოიპოვებოდა წაწლობა-სწორფრობაზე.

მხოლოდ 1924 წ. მე განვიზრახე წაწლობის წესების ადგილობრივად გარკვევა და მის შესახებ ყოველგვარ ცნობების შეკრება. ამ მიზნით, ამავე წლის ზაფხულში, ერთი თვით, საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილების მიერ მე მივლინებულ ვიყავ ფშავში, სადაც შეძლებისადაგვარად შევკრიბე წაწლობის შესახებ აქ მოთავსებული მცირეოდენი მასალები.

ამავე დროს მე საშუალება მომეცა გავცნობოდი ხევესურულ სწორფრობასაც.

ამასთანავე უღრმეს მადლობას ვუძღვნი ხევესურეთის მასწავლებელს ანა ჭონჭაძე-გალაშვილისას და ნიკ. მაკალათიას, რომლებმაც სწორფრობაზე მასალები მომაწოდეს.

¹. გაზეთი „ცნობის თურცელი“ 1903 წ. № 2126.

წ ა წ ლ ო ბ ა

წაწლობა სექსუალური ხასიათის ჩვეულებაა და მეტად გავრცელებულია ფშაველთა შორის, რომელსაც აგრეთვე ნადობ-ნაძმობასაც უწოდებენ.

სიტყვა „წაწალი“-ს მნიშვნელობა ადგილობრივად ვერ გამოვარკვევ, მაგრამ მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელია ის წარმომდგარიყოს „წაწოლისაგან“, რადგანაც თვით ეს წესი წოლასთან არის დაკავშირებული.

წაწლობა ქალ-ვაჟთა შორის მათი სქესობრივი სიმწიფიდან იწყება, სახელდობრ თოთხმეტ წლიდან, რომლის წესების ასრულება მათში საძრახისი არ არის, წინააღმდეგ, წაწლობა და წაწლების ყოლა მათში სახელწა და ვისაც მეტი წაწლები ჰყავს ის უფრო მიღებული და ქებულია.

თუ ახალგაზრდა ვაჟი ან ქალი ფშავში არ წაწლობს მას „მწერელ ჩვილ“-ს უწოდებენ ე. ი. ბეჩავ-უხეიროს. მათი შეხედულებით ვაჟი ან ქალი „ილეთი“ უნდა იყოს, რომ თავის გარეგნულ სილამაზესთან ერთად, კარგი ქცევით, დარდიმანდობით და მოლხენით წაწლებს იზიდავდეს.

წაწლობა ფშავში არსებობს ნათესავთა და უცხოთა შორის. პირველად ჩვენ აქ შევეხებით ნათესავთა შორის წაწლობის აღწერას. როდესაც ნათესავი ქალ-ვაჟი: და-ძმა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და სხვანი ჰასაკში ჩადგებიან მათ შორის წოლა იმართება, როგორც სახლში ისე მის გარეშედაც, მაგრამ ისე, რომ მათმა მშობლებმა მინც და მაინც არ დაინახონ, რაც უფრო უზრდელობაში ჩამოერთმევათ. წვებიან საზოგადოდ ტანისამოსიანად, ერთმანეთს წაწლობაზე საუბრით ართობენ და დროს ატარებენ ალერსში და ხევენა-კოცნაში. ნაძმობს შეუძლია თავის ნათესავ ნადობს უბეზიად ხელები ჩაუყოს, მაგრამ მისი ეროტიული მოქმედება წელზემო არ უნდა ვასცილდეს, რაც სასტიკად დაცულია თემის სჯულით და წესებით. მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ თუ ჩაიღინეს სქესობრივი აქტი და ნადობი დაორსულდა, როგორი შემთხვევაც ნათესავთა შორის იქ იშვიათად მომხდარა, მაშინ ორივეს თემის მხრივ დიდი

განსაცდელი მოვლით, რომლებსაც, როგორც სისხლის აღმრევთ და თემის სიწმინდის შეურაცხყოფელთ თემიდან სამუდამოდ განსდევნიან, ან სიკვდილით დასჯიან. ამგვარ სასტიკ წესების, თუ სხვა მიზეზების გამო, წაწლობას ნათესავთა შორის გაუბრბიან, რომელიც, რასაკვირველია, დაზღვეული არ არის სქესობრივი ცდუნებისაგან და მას საზოგადოდ ეწვეიან არა ნათესავთა შორის. გარდა ამისა. ნათესავთა შორის წაწლობას იქ დიდ საიდუმლოთ ინახავენ და ამიტომ მის შესახებ ცნობების შეკრება მეტად ძნელია.

უცხოთა შორის წაწლობა, პირველ ყოვლისა ერთმანეთის მოწონებაზე და ტრფიალზე დამყარებული.

თუ ვაქს ქალი მოეწონა, ან ქალს ვაჭი ისინი ერთმანეთს ნაძმობ-ნადობობას უცხადებენ. დაახლოვების შემდეგ მათ შორის წოლა იმართება.

ახლად შეყრილი წაწლები, პირველ ხანებში, სახლის გარეშე სადმე მიმალულ ადგილას, ბოსელში თუ საბძელში, ან ტყეში ნაბდის ქვეშ წვებიან ტანისამოს გაუხდელად.

დანიშნულ ალაგას ქალთან მუდამ ვაჭი მიდის, ქალი თავს მოიძინარებს და ვაჭმა ის უნდა გამოაღვიძოს, თავის ალერსით და ტკბილ საუბრით, რომლის შინაარსი წაწლობის გარშემო ტრიალებს.

რამდენიმე წოლის შემდეგ ნაძმობი თავის ნადობს შექებას და ხელებით შეხებას დაუწყებს, რომელიც ხვევნა-კრუნით თავდება. მრავალი წოლის განმავლობაში მათი ეროტიული დამოკიდებულება ამ წელზემო თავისუფალ მოქმედებით ისახლვრება. ნადობი სქესობრივი აქტისაგან თავს იკავებს და თავის ნაძმობის ამ მხრივ მიდრეკილებას ეწინააღმდეგება. შესაძლებელია ამ ხანაში ნადობი გათხოვდეს, მაგრამ თუ მათი ნაძმობ-ნადობობა გაგრძელდა, ნაძმობი შეეცდება ნადობის სრულს დასაკუთრებას და ამ შემთხვევაში მათ შორის იმართება ერთგვარი სექსუალური კიდილი. ბოლოს ნაძმობი იმორჩილებს ნადობს და უკანასკნელი მას ეხვეწება „ნუ გასწირავ“ ი. ი. ნუ დატოვებო. ამგვარად სქესობრივი აქტი მათ შორის სრულდება, მაგრამ უთესლოთ.

რასაკვირველია, არის შემთხვევებიც, როცა ნადობი ორსულდება, რაც ორივე მხრისათვის მეტად სამარცხვინო მოვლენად ითვლება, ამიტომ ნაძმობი ფარულად სხვადასხვა საშუალებებს მიმართავს, რომ ნადობს მუცელი მოუშალოს. ნაბუშარ ნაყოლი წაწალი ვერ გათხოვდება, როგორც მეძავე და უკანონო შეილიც თვითონ

უნდა გაზარდოს. დამნაშავე ნაძმობს, როგორც თავშეუკავებელს და უნამუსო ნაძმობს სხვა წაწლებიც უფროთხიან და ეს გარემოება ორივე მხარეს აკავებს, რომ შვილის გაჩენით თემში თავი არ შეირცხვიან. როდესაც წაწლები ერთმანეთს მეტად დაუახლოვდებიან, მაშინ წოლას ნადობის სახლში განაგრძობენ, მაგრამ ისე ჩუმად და ოსტატურად იქცევიან, რომ შობილები ვერას უგებენ, თუნდაც რომ გაიგონ შობილებიც ყურს მოიყრუებენ.

ჭრდა ამისა, წაწლებ შორის კარის დაკაქუნების და სტვენის თავისებური ნიშნებიც კი არსებობს, რომლის მიხედვით ნადობი იგებს, თუ რომელი ნაძმობი მას ესტუმრა და კარებს ჩუმად გაუღებს თუ უკვე სხვასთან არ წაწლობს და მამლის ყვილისას თავის ნაძმობს სახლიდან ისევე ჩუმად გააპარებს. ✓

რადგანაც ფშავეში მრავალ წაწლიანობაა გავრცელებული, მაგალითად, ზოგს ხუთი ჰყავს, ზოგს ათი და ზოგი ოცობით ითვლის, ამიტომ მათ შორის ქიშპობა და შეცილება ხშირი მოვლენაა, მაგრამ ნადობები ამ გვარ შემთხვევებს თავიდან ადვილად იცილებენ, რადგანაც ისინი სახლში ერთის მეტს არ უშვებენ და თუ ტყეში ან მინდორში სხვა ნაძმობთან მოასწრეს შესაძლებელია მათ შორის ხანჯლებიც დატრიალდეს, რაც იქ იშვიათი შემთხვევაა.

ერთი თემის წაწლებს ხატისაგან აკრძალული აქვთ შეუღლება და ვინც ამ წესს დაარღვევს თემიდან განდევნით დაისჯება, მხოლოდ სხვადასხვა თემის წაწლების შეუღლება შეიძლება.

ფშაველ ქალის გათხოვებას, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, წაწლობა სრულიად არ უშლის, წინააღმდეგ, უფრო ხელს უწყობს, რადგანაც მათივე შეხედულებით, ქალს რამდენადაც მეტი წაწლები ჰყავს, ის იმდენადაც პატივცემული და მიღებულია. როდესაც ნადობი თხოვდება ნაძმობები მას მაყრებად მიჰყვებიან და პატარძალს თავი მოსწონს ნაძმობების სიმრავლით.

წაწლებთა შორის ტრფობა და კეთილ განწყობილება სუფევს და ერთმანეთის გულის მოგებას სცდილობენ. ნადობი თავის ნაძმობს კრელ წინდებს უქსოვს, მძივებიან სათამაშოს უკერავს და სხვა, ნაძმობიც თავის მხრივაც მას უძღვნის საკრელწინდე კალათას, თითის ტარებს და საზოგადოდ იმ იარაღებს, რაც ნადობს ხელსაქმისათვის ესაჭიროება.

ხშირად წაწლების სიყვარული ისეთი ძლიერია, რომ ერთმანეთს შეაბერდებიან.

უცხო ტომთან წაწლობა მიღებული არ არის, თუ სოფელს

ესტუმრა ქართველი უცხო ვაჟი, ქალები მასთან საწაწლოდ ერთ-მანეთს ექიშებოდნენ და ვინც იმარჯვებს ის სახელოვანია.

საზოგადო წაწლობა მიღებულია: მკაში, მუშაში, ქორწილში და ხატობა-დღეობებში, განსაკუთრებით ლაშარობაზე და ციხე გორობაზე ან კოპალობაში, სადაც ხატის ქალ-ვაჟებიც წაწლობენ. მე პირადად დავესწარი კოპალობას, სადაც ადგილი ჰქონდა ამგვარ წოლას.

ციხეგორა, სადაც იმართება ღვთაება კოპალას ხატობა ფშავ-ხევსურეთის საზღვარზე იმყოფება და დღეობა სამი დღე გრძელდება ამ ხატობას მრავალი ფშავ-ხევსურები ესწრებიან და დიდის ზემოთ ატარებენ.

ხატობის პირველ ღამეს დაახლოვებით ღამის ორ საათზე, როდესაც მლოცველებს ცის ქვეშ ტკბილად ეძინათ, რალაც ჩორჩქოლი ასტყდა და შევნიშნე ერთი ჯგუფი ახალგაზრდობისა, რომლებიც მძინარეებს უვლიდნენ და ნაბდებს ხდიდნენ. ჩემს შეკითხვაზე, თუ რას ნიშნავს ეს, მიპასუხეს, რომ „მოხილვა“ ან „დარბევა“-ს მართავენო. მე დამაინტერესა ამ დარბევამ და მათ ავედივნე. მართლაც, ნაბდის ახდისას მის ქვეშ ჩახუტებული ქალ-ვაჟნი იწვნენ, რომლებიც სანთლის მიხატებით ფრთხებოდნენ და იმალებოდნენ. დამრბევები ამ მოწაწლე ვაჟებს ქუდს, ხანჯალს, ქამარს და სხვა ნივთებს სტაცებდნენ. დილაზე ამ ჯგუფმა გამააცხადა, რომ ჩამორთმეული ნივთები იყიდებო და პატრონი იძულებული იყო ერთი ლიტრა არაყით თავისი ნივთი დაეხსნა, რომელიც მის ნადობს დარბევებით თავის ხელით მოჰქონდა და მას, მკლავზე მისივე მანდილი შემოხვეული ძმობილი მოსდევდა. მათ, ნივთის დაბრუნებისას, დამრბევთა ჯგუფი წაწლობისათვის აზიზლიანებდა.

ფშაველი ქალი წაწლობას ისეა მიჩვეული და მასში გაწაფული, რომ გათხოვების შემდეგაც მას ვერ იშლის, რაც ქმრის ოჯახში დიდ უსიამოვნობას ხწვევს, რადგანაც ზოგი ქმარი თავის ცოლს წაწლობის ნებას არ აძლევს და თუ ვინმესთან მოასწრო ცოლის სასჯელს საზღვარი არ ექნება.

ამიტომ ფშავეში ამ ნიადაგზე ცოლ-ქმრის გაყრა მეტად ხშირია, მაგრამ რადგანაც ფშაველის ოჯახის ეკონომიური კეთილდღეობა მხოლოდ ქალზეა დამყარებული¹ და ცოლის გაქცევით, ან

¹ ფშავეში კაცები ნაკლებად მუშაობენ, სოფლის მეურნეობის მთელი სიმძიმე დედაკაცზეა დამოკიდებული, რომელიც ყანას მკის, სთიბავს, მთაში ძროხებს მწყემსავს და რძის ნაწარმოებს ამზადებს; აგრეთვე ოჯახს უვლის, ქსოვს და სხვა; ამიტომ იქ ქალს ოჯახისათვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს.

გაყრით ოჯახი ქვეითდება და იშლება,—ქმრები უმეტეს შემთხვევაში იძულებულნი არიან შეურიგდნენ თავიანთ ცოლების ამგვარ მოთხოვნილებებს და ორივე მხარე წაწლობენ.

ხშირად არის ხოლმე, რომ ცოლი თავის ქმარს სხვა ქალთან აწაწლებს, თვითონ კი სხვასთან წვება. ამ შემთხვევაში ქმრებს ის გარემოებაც აკავებს, რომ ფშავში ცოლის გაქცევა დიდი სირცხვილია ვაჟკაცისათვის და ცოლგაქცეულ მამაკაცზე იშვიათად თუ ვინმე გათხოვდება.

წაწლობა ფშავში ისე გავრცელებული და აშკარაა, რომ მის წესების შესახებ ცნობების შეკრების დროს, იშვიათად შემხვედრია ისეთი პირი, რომელსაც წაწლის ყოლაზე უარი ეთქვას. როგორც კაცები, ისე ქალებიც, წლოვანობის განურჩევლად, სრულიად დამშვიდებით მიამბობდნენ წაწლობის ყოველგვარ წესებს და მაზე გამოთქმულ ლექსებს.

ჩემს შეკითხვაზე ფშავში წაწლობის წარმოშობის შესახებ, შემდეგ განმარტებას მაძლევდნენ, რომ ეს ჩვეულება მამა-პაპურია და განწესებულია ლაშა-გიორგის მიერო, რადგანაც თამარ მეფის დროს ლაშა შთამომავლობის გამრავლებისათვის ლაშა ქალ-ვაჟებს ერთად აწვევდნო, ამიტომ წაწლობა ფშავში ლაშა გიორგიმ განამტკიცაო და ლაშარობას ამიტომ მიღებულია საზოგადო წოლაო, მათივე შეხედულებით, ლაშარის ჯვარი ქალთან დაწოლას არ უშლის, რადგანაც თვითონაც მოქეიფე და ქალების მოყვარული იყო.

გარდა ამისა, წაწლობის შესახებ ფშავში არსებობს აგრეთვე სხვა თქმულებაც, რომელიც მის სიძველეს მოწმობს.

ერთხელ თურმე ლაშა გიორგი „ფშავის-ხევში“ ყოფილა, სადაც მისი ნიშია. იქ აღუშენებია ეკლესია და ბერები განუწყესებია, მერე იქიდანვე ქალაქში ჩამოსულა და თავის დამ რუსუდანმა თურმე ჰკითხა: რა ამბავი იყო, როგორ არის ფშავეთის საქმეო? ლაშას უპასუხნია, ეკლესიაც ავაშენე და მწირველი ბერებიც დავადგინეო, „წაწლობა სკოლნიყო ფშაველებსო, კინალამ მომატყუესო მეცაო, დამჩვიესო“.

ლექსები წაწლობაზე.

ნეტავი ნამტირვალებსა შენი ხმა გამავგონაო,
 შენთან დამიგო ლოგინი, შენს მკლავზე დამავგორაო.
 მე კი ძალიან მიყვარხარ შენ, აროთა გგონაო,
 ლამაზო ჩემო ნადობო, შეკრულო ვარდის კონაო.
 ახ, დედას მტრისას, ერთგულო, ეს როგორ გვიყო დრომამო,
 რად ვიყავ ასე ბედკრული შენ თავს რომ მომამშორაო.
 აქ რომ ვიფიქრო ჩვენ შუა რამდენი მთა და გორაო,
 გულით ვინატრი შენს ნახვას ტყეში ფოთლებზე ვგორაობ.
 იქნება მომკლან, ლამაზო, მიწას დავეცე ძირზედა,
 მომკვიდეს ჯოგი ნადირთა მათრიონ წყლების პირზედა,
 მგონი მაშინაც ვიფიქრებ ცოცხალ ვფიქრობდი ვიზედა,
 სულთა პეპელად ვიქცევი წამოვალ შორ მანძილზედა,
 ხელების ქნვეთ დაგლალავ მოგაფრინდები პირზედა,
 ან ღამის სიზმრად ვიქცევი მოგივალ დაძინებულსა,
 და გადაგიხსნი წყნარად გულს თეთრადა გაბრწყინებულსა.
 ვინ იცის არც კი გახსოვარ, მეკი ვწერ, როგორც ერთგულსა,
 ეს ლექსი გამოუგზანავ ქალო შენ დავიწყებულსა,
 უცხო მხარეში ნამყოფსა ფშავიდან გადავდებულსა.

დავსწირე¹ ბოროლაზედა თავდანებებულ საქონი,
 სცოდნია წაწლობა დავსწვი ფშავლების ზაკონი,
 ბევრ ქალა გამოვადვიძე ტყავის ძველაში ნაწოლი,
 ბევრი ბოსლის კარი გავადე, ბევრგან ავხადე საკომი.
 შენ ხელთ ვენაცვალე, წაწალო, შენ ნაქსოვკრელებ წინდასო,
 ხვესურების დროშას ჰგევხარ, საციხეგორო წმინდასა,
 ჯღრიალით წახვალ ხატშია, შუქს დაიდევნებ მზისასა,
 ვის რა უგორავ მკლავზედა, წვერპირს ეხვევი ვისასა,
 ნეტავი მიუვიდოდი მაშინის ძმაკაცს თვისასა.

ან ლაშარობას მოგივალ, ან ციხეგორობაშია.
 წაწალთან დამაწვინოდი მოგივლის წორობაშია.

წაწალმა უთხრა წაწალსა, წავიდეთ წმიდა შიოსა,
 მოგიკვდეს შენი წაწალი, თუ წოლა მოგამშვიოსა.

¹ დავტოვე.

წაწლის საცნობლად მოსულხარ, ხატ სალოცავად კი არა,
წმიდა გიორგისა სჯობდა, ექ რომ ქალ ჩამაიარა.
მაშ იმან მოგცას წყალობა, წმიდა გიორგემ კი არა,
თუ ღამე არის კი მამცას, თუ დღე იქნება კი არა.

რა კარგია წაწალთან წოლა უბიაში ხელამია,
პატატარა ძუძუანი ვაშლის ოდენანია,
პირშიშველა ვაჟკაცაი წარბის კეალა წვერაი.

ვაიმე, ჩემო წაწალო, თვალქრელო ყვითელ თმიანო,
სხვად კი არ დავიწუნებდი დიდი ძუძუნი გსხიანო.

ამოხე შუქურ ვარსკვლავო, ამოხე გორის პირსაო,
გეტყობა მოლოდინი გაქეს ნადობო მიშაისაო,
მიშას უთხარი დაადოს ტარება ჩენი გზისაო,
ჩემებ ნადობებს დაეხსნას, ილოცოს პირი ღვთისაო.
გაჯავრდა ჯორათ ბასილი, ხანჯალს უსინჯავს პირსაო,
შაკითხავს არ გამიქრია, დრო რომ მოვიდეს ცდისაო.

მოუსვი მოგიცურდება კალმანი ორაგულზედა,
კარგია, წაწა ღამაზო, შენი გორება გულზედა.
ტკბილად შექცევა სულისა, ქურის¹ ტოლება ქურზედა,
მიამის შენთან დაწოლა, როგორც მალამო წყლულზედა.
შამიცოტავდენ ცხვარამი თრიალეთს მივალ ფულზედა,
საბალახეა ძვირადა სამ მანათს ვაძლევე სულზედა,
გულს ნულარ შემოგეყრება მოგივალ გაზაფხულზედა,
ვიყვნოდით დაძმასავითა მარილს ვიყრიდით პურზედა.

წაწამ დამიგო ლოგინი, ძუძუ პირზე დამატოლოო,
თეთრი იყო ქალღღიღით, ვთქვი ნეტავ არ მომაშორაო,
ცოცხალი ვარ ჩემთან ქნა, მოგვედები თან ჩამაყოლოო.

ფოთოლათ მერცხალაი ვარ, წაწალ გორდემად ქალისა,
ერთ წულად გულისათვინა სამჯერ ჩავარდი თვალისა,
ციხეგორს ამოდოდა, ბორ ნაგლეჯ წულათ ნალისა,
რა ერთხელ მავას დაეწაწლდი სამჯერ მილოცეს თვალისა.

¹ ლოყა.

K 4 956
3

მთაწმინდას მარაგიანო, მზე მოფენილო დილითა,
 წითლის მერდინის პერანგო წინ შესაყრელო დილითა,
 შე უკვდავების წყაროო, ნადენო ოქროს მილითა,
 შენ ჩემო დილო იმედო, წაწალო, ოქროს პირითა,
 შენთანამც ყოფნით გამაძლო შეიდი დღე ღამე ძილითა,
 საგონი ჩამოგვილია გული აგვისო ღზანიითა,
 შენი და ჩემი მოჯარბე გააძლო ჩვენის კირითა.

ნეტავი შენა მთვარეო, რო სულ ყველასა ხედავო,
 ფშავშიოთ არი ქორწილი ტოშიოთ სამა ტყვრებოო,
 თამაშობს ჩემი წაწალი რაკი არ შეუხთებოო,
 თამაშობას რომ მორჩება, ნაძმობს წინ გაუძღვებოო,
 მივალის ბოსლის კარზედა კარ მოჯრილ დაუხვდებოო,
 მაიხვევს ფანჩოს¹ ძველასა საბძლისა გაუძღვებოო,
 დაწოლა ვერც კი მოასწრეს მამალი აჩქამდებოო,²
 აქშა შე საწიწაქეო, წიწაქიმც აგაჩნდებოო.

წავიდეთ ჩემო ძმობილო, წამოდი ჩვენსა დაწვეო,
 იქ დედაშენი მოგვასწრობს წუხელ სიზმარი ვნახეო,
 შამოგვივარდა ვითომა, აქავ მოსულან დახეო,
 მოგარჩენს შენი დობილი სუ მალამოში გაგხვეო.

წაწალმა მითხრა: გადმომხურე ეგ ნაბადი ქისტურია,
 ქალო აქეთ მომეცალე, თორემ ჩვენში ფინთ რჯულია,
 თუ ეგ ძალიან გიყვარვარ ბოსელაში მისტუმრია,
 ბოსლის კარზე გავიარე სულის ქცევა მეყურია,
 იქით ბებერი გამოჩნდა, ამოვყარე ტლინკურია,³
 დედას გიტირებ ბებერო, თუ ვერ გიგდო ტლინკურია,
 შენ ქალ ზურგზე ვერ შევაგდო ვერ გამოვდო ხრინკულია.⁴

ნადობმა უთხრა ნაძმობსა, მომიტანოდი სარკეო,
 მომიხვიდოდი მთაშია სულ ხაქო ერბოს გაქმეო,
 ღამით დაესწევბი შენთანა, წაწლობასა დაგჩვეო.

¹ ქეჩა.

² აყივლება.

³ ანლურია.

⁴ ფეხის გამოკეჩა.

ნეტავი არ გამაგონა ამბავი ჩარგალებისა,
 ან რომელი ირთამს რომელსა, ან ვინ ვისთან წევებისა,
 ის მითხრეს ნათელ მირონი ჩარგალებს არ უწყრებისა,
 ერთად დაწოლილ ქალ-ვაჟთა მირონ რას დაუდგებისა.

ავდექ და წაველ წაწალთან, რომელიც იყო კობტაო,
 ყინჩია ¹ ქალთან დაწოლა, გაცინებულის კოცნაო,
 ჩამოხსნა მძივლილებისა, საყელოს ჩამოტოტნაო,
 მიკვრაში უამს გულზედა, რომელიც არი კობტაო.

ცაზე რო ვნახო ღრუბელი, მგონავის წვიმასავითა,
 შენ წასვლა მომაგონდება, მოკურცხლავ ციცასავითა,
 დავსწვები დამეძინება ფეხს დავხდი ხისასავითა,
 საწაწლოდ გამართული ვარ, დედის ძმა ხინწუსავითა,
 ყინჩია ქალთან დაწოლა, რა მომწონ იმასავითა,
 სამენატნავოთ ზოგ რუა მაისის დილასავითა,
 ლოგინში გადაბრუნება, წაქცეულ ჩიკასავითა ²,
 დაეკვრის თავის ნაძმობი ცხერის თაშზე ტყიბასავითა.

ჩარგალს დაბერდა ქალები, ხუთი დაბერდა შინაო,
 გვერდსა ჰყავს წაწალები ძეძუებზედა სძინავსო,
 შე რალას ფიქრობ ნეტარა, შე მარტიანთ თინაო!

მოდე წაწალო ერთად დავწვეთ, დაოროლდეთ ჩემო დაო,
 თუ საყელოს ჩამოვცილდი დაილიოს ჩემობაო,
 ვაიმე ჩამოვცილებივარ, ახ დედას შენ ჩემო თავო!

დავკარგე სათამბაქუე, ნადობის დაქრელებული,
 ახალი იყო ისივა არ აყო დამეყლებული,
 დარაიას თიკვისა ³ კალაპოტ ჩაყენებული ⁴.

წამოველ მინდორჩიითა, ლურჯა მომყვანდა ჩქარიო,
 ნადობს უყიდე გარმონი, მანათ გავილე სამიო,
 ნადობის კარჩი შამოვხენ, კართაზე დამრჩა თვალიო,
 ნადელობ წამომეგება თვალცრემლიანი არიო.

¹ კარგია.

² სკამი.

³ ნაქერი.

⁴ ნაქრებისაგან შეკერილი.



მკითხა მშვიდობა ამბავი, სად, როგორა გყავს ცხვარიო?
 ცხვარან კი კარგად გავიდენ, ნადობი როგორ არიო,
 შენ ნადობ როგორ იქნების სამის კვირვის მკვდარიო.
 ჩამომეხოცა მხარ-მუხლი, დამედო ოფლის ნამიო,
 გულმა ცხრობა დამიწყა, ცრემლ მომედინა ცხარიო,
 ეგემც არ გეთქვა ბებერო, გეთქვამც რომ სხვაგან არიო,
 მოლოდინ მაინც მექნებოდ, მოვა სადაც-ლა არიო;
 შენ ვისათ მიგცე ოხერო, ქვეც ჩამოგლალვენ სხვანიო;
 ამაგის ლექსობაჩია ვადამლევიყო ხანიო.
 ვაფხენე ვადაშლილიყო სხვა შვიდის მწყემსის ცხვარიო,
 ნეტავი ზვავიც მომკლამდა, რომ შელხვებიან მთანიო,
 დამლევედა გაზაფხულზედა ალაღებული წყალიო.

სამშაბათ დილა გათენდა, დღე იყო ზინზილიანი,
 კარგი დავკარგე წაწალი შიბიან ზინზილიანი,
 ვეძებე ველარ მოვხელე დამწირა სირცხვილიანი,
 თათულს წერილი მიეწერე გზასა არ უნდა გვიანი.
 წაწალ აქ გამომიგზავნე, თუ არ გინდ არის ზიანი,
 ახალი ვაგონებაა ლადრი ემზადება ხმლიანი,
 აგებ წაწალი მომგვაროს, ჩარგალს დღე იყო მზიანი,
 იმასთან ერთხელ დაწოლა ვაეკაცის სამოთხე არი.

დაღამულია, სად წახვალ, დაბრუნდი, ჩემო მიხაო!
 აფხუმოს ვერ გასცილდები, შაგჰამს ნადირი ტყისაო.
 ნუ მიფრთხილდები ივანე, მე ვიცი ჩემი გზისაო,
 წაწალთან კიდევ გავაწევ, გამიშვი არა მიშავსო.
 წაწალთან მიმიხარია, რო ვითხრა გულის სიტყვაო,
 მივალ დამხვდება წაწალი, ჩემდ უკეთესი მზისაო,
 იქით მოკლე გზა მიდის, დილით შინ მისვლა მინდაო,
 წუხელა ვყვანდი სტუმარი წაწალს ჟამიაშვილსაო,
 დილიანთ წამოვსულივარ პირს ოფლი ჩამომდისაო.

კარგი ყოფილხარ ტიალო, ჩარგლისა არემარეო,
 შინ მომეგებენ წაწლები შენი მზე შენი მთვარეო,
 გუნდი და გუნდი ქალ-რძალთა მოკაშკაშ მოელვარეო,
 ახვალთ გორო და ახუნო სალამი დამიბარეო,
 სიპზე დასწერე მოკითხვა მკერდ ზეით აიყარეო,

გამოატანე იმასა, როცა მოელის მთვარეო,
 შენ კალთებს მოეფინება მზის შუქი მოელვარეო.
 რას ჩამომხედავ წაწალო, თავი ძირს ჩამოვხარეო,
 მე მალევე გაგებული მაქვს, სხვა მეკვლე მაიყვანეო,
 ჩემ წილი თხილი კაკალი, სუ იმას ჩაუყრიეო.

არა მწადია ცხვარშია, ნეტავი დამსვა შინაო,
 ფასტამალათ¹ მაქცია წაწლებს ამაკრა წინაო,
 ანამც მაქცია წყილადა უბეში ჩამაშვრინაო.
 გამაძლო იმის ჟინითა ძუძუზე მაკბენინაო.

ცხვარი მყავს ბურდო მთაშია, უკუ მიბრუნებს ქარია.
 ამოჩნდა სულთა პეპელა წითლით ჭრელნი ქონ-მხარნია,
 ნადობს აღბად ვაფერე ღმერთო დაშწერე ჯვარია.

უთხარით ე მა თამარსა ე მა პირს მოუჭირია,
 ქალს უთხარ მეჩონგურესა კარვა დაუკრას სტვირია,
 წაწალმა არც საით გაუხსნას, მაგრა შაიკრას ღილია,
 ხო დაიხვდა კარვადა ნიკო ხევსურის შვილია,
 შენც მაგას გიზმენ წაწლები მაგათ არ უნდა ძილია.

ბებრის კაცის წაწალთან წოლა გავიგონე გამიკვირდა,
 ნეტავ მენც იმ დროთა მქნა, დავწვებოდი რა მიჭირდა,
 გურჩიდ² მაინც დავამტვრევდი ნადობ რო თხილს ჩამიყრიდა.

მთაწმინდას ტოში ტყრიალი³, ნეტავ რამ გააძლიარა,
 წაწალთან დაწოლა მწადა, ტოში ბუზიკაი კი არა,
 ერთმა სულელმა ბებერმა ამანთო ამაპრიალა,
 ჩემი ჯავრითა ბებერო ცეცხლმზედმაც დავატრიალა,
 შინ უკაცურთამც მოკვდები ციცანი გამოგხრინო.

ცოლი ჯობსა თუ წაწალი, ჯაბანო შენა კითხაო,
 წაწალ სულ სახვეწნელია, ცოლს კი არასა ვკითხაო.

ლუკამ თქვა მარცვალაშვილმა,
 ჯავრი დამაწვა გულსაო,
 დამჩაგრა სილარიბემა,
 მაგრამ არ უგდებ ყურსაო.

¹ წინსაფარი.

² ნიგვზის სანაყი ქვა;

³ ტაშის ცემა.

წავალ დავწვები წაწალთან,
 გავიხალბათე გულსაო,
 გრილიან საყელოს გავხსნი,
 მაშინით დაქარგულსაო.

სათაბაქოეს მამცემენ,
 დამიკერებენ ფულსაო,
 შორიდან გაყურებივით
 მოგაკლიენებ გულსაო.

ლუკამა მარცვალაშვილმა,
 ქალებთან წოლა დასწყია,
 ყველა ქმართანა გაიქცა
 ვინც წაწლობასა დასჩვია,
 ხან ვიტყვი ხელს ნუ აიღებ
 წაწლებთან წოლა კარგია.

შენ ნადობმა მამიტანა, წაწლის ნარჩომ ხაქო-ერბო,
 აი შე არ გასაზრდელო, რაც ცოტაით მატყუებო.

დურმანსამცა ჰყავ დედაო, ნადობი სხვასთან ზიარი,
 ისა ჰკლავს ვაჟკაცის გულსა, სიკვდილი მასთან რა არი.
 წამოველ გუდარახითა ჩარგალს დავავლე თვალია,
 ზოგჯერ წაწალთან დაწოლა ზარაფანდივით მწარია.
 ბოსელში ქალი ვიცოდი, ქურდულად მივიპარია,
 ვერცარა ძაღლმა გამიგო, ნელა შავაღეთ კარია,
 გავმართეთ ჩალის ლოგინი ზედ ტყავი დავიფარია,
 მამასწრო ქალის დედამა, ბიჭობა ახლა არია.
 გავარდა გარეთათა გადამიკეტა კარია.
 მერმე საბძელში გაიქცა, საკომს დაავლო თვალია,
 ქმარს დაუძახა ხმა მაღლა, მოდი აქ ვილაც არია,
 თავად საკომთან უდგევარ გადმაურაზე კარია
 კაცმ თოფს დაუწყო ჩხლაკუნი თავთავად დავიშალია,
 მეც ხელში თოფი მიჭერავ, ვაიმე რა ცუდი დარია.
 კარების უკან ავეკარ, გავტვრინდი, როგორც მკვდარია,
 მზადა ვარ გასაქცევლადა, რო გველეზა კარია.
 ან უნდა დავკრა ხანჯარი მეტი გზა აღარ არია.
 რალაც თიქრებმა წაიღეს, რო შამალო კარია,

თვალს ავლებს ტეტეჩივითა, მე ჩუმად გავიპარია,
 გადავრჩი ერთის ბეწვითა, ღმერთო დამწერე ჯვარია.
 ე მაგის მოღექსებელი, ისევ ჯველად არია.
 ბევრჯელ ბევრს ბებერს დავხურე, რო არ ეგონა ცანია,
 ბევრჯელ დაუწევ ქალთანა, გაულე სახლის კარია.

ქვეით ხელს რას მიცაცუნებ, ე ძუძუნ აქ არამქონა?
 კოპალაის ლახტნაკრავსა, ცდენა რამლა მოგაგონა?
 ვაქვაცს არა გრცხვენინანა ეგრე როგორც დაგაღონა.

წაწლობას გამოვლილი ვარ, გადავდექ კარგა ხანშია,
 შამოვლილი მაქვს ქვეყანა ყოველგნით მთა და ბარშია,
 დღე-ღამით მოსიარულე ტკბილ მწარეობის ცდაშია.
 თოფ პატრანტაშის მქონესა ხელ მევლო ხანჯლის ტარშია.
 ამოფრენ გადაფრენასა წვრილად გაზრდილი ტანშია,
 ვერ მაჯობებდა თავადი, დონჯის შემოყრაშია,
 დავაცეტოდი¹ წაწლები ვიყოდი იმის ცდაშია,
 მივიდრიც მოვიდრიცოდი² ნახამ მივიდი ხალხშია,
 განიერ ბაქიკ აჩქამდის, მაგრა ნაქსოვი ყდაშია,
 ლუდიან თასი მექირა ვიყოდი ზემო თავშია,
 უჩემოდ რად ვის უნდოდა ლხინ ბუზიკაი ტაშია,
 ჩავდგოდი სათამაშოში ჯვილ ჯუილი ვაქია,
 ჩავიყენოდი წაწლები სალამაზებლად მხარშია,
 ბევრ ქალა ჩამითამაშდის რა ხეწნა, ან რის ფასია,
 მეგონა კი, თუ მოვწონვარ ლეკურ გავსცხოდი ცაშია,
 დამწყვივის კარგა ქალამა სიკვდილ მაგისად ახია,
 წელანის სათამაშოში საგულე ჩამომახია.

¹ გავაცივებდი;

² მოგრობოვარება.

სწორფრობა.

ხევესურეთში გავრცელებულია წაწლობის მზგავსი ჩვეულება, რომელსაც „სწორფრობა“-ს ან „ძმობილობა“-ს უწოდებენ. ამ ჩვეულების წესებს ისინი დიდ საიდუმლოებით ინახავენ და ამიტომ უცხოეთის მეტად ძნელია მისი დაწვრილებითი შესწავლა.

როდესაც ხევესური ქალ-ვაჟნი ჰასაკში ჩადგებიან ირჩევენ სწორფერს ე. ი. თავის ტოლს, ან შესაფერს, რაც ურთიერთის მოწონებაზე და ტრფიალზეა დამყარებული.

ვაჟს უნდა ახასიათებდეს რაინდობა და ნამძობ ქალისადმი თავდადება. აღსანიშნავია, რომ სწორფერნი ერთმანეთს ძმობილს უწოდებენ და მათში არ არსებობს სიტყვა „ღობილი“. გარდა ამისა, ძმობილი ვაჟი უნდა იყოს ზრდილი, დარდიმანდი და სქესობრივად თავშეკავებული. მათი ტრფიალი, პირველ ხანებში, გამოიხატება მოკითხვა-საჩუქრებში. ქალი თავის ძმობილს უქსოვს და უქარგავს: საგულეს, საყელოს, საწვივეს და სხვა; ვაჟი თავის მხრივ უძღვნის თავის ძმობილ-ქალს მძივებს, ქინძისთავეებს და სხვა სამკაულებს.

შემდეგ მათ შორის წოლა დაიწყება. წვებიან საზოგადოდ სახლში, სადაც ძმობილი ქალი უნდა მივიდეს ვაჟთან და თან სახლიდან ჩუმაღ მოპარული ერთი ბოთლი არაყიც უბით უნდა წაიღოს. ვაჟი თავს მოიძინარებს, ქალი მას გამოაღვიძებს და არაყს დააღვივინებს, შემდეგ მიუწეება და ხვევნა-კოცნით ერთმანეთს ართობენ. სქესობრივი აქტის ჩადენა სწორფრებში საზოგადოდ აკრძალულია, ამ მხრივ ვაჟმა ქალზე არავითარი ძალადობა არ უნდა იხმაროს, რაც ამ წესის ღირსების შეურაცხყოფელია.

შესაძლებელია ამგვარ აქტს ადგილიც ჰქონდეს, რადგანაც ამგვარი წესები ცდუნებისაგან დაზღვეული არ არის, მაგრამ ამას სხადიან ფრთხილად, უთესლოდ და მათ საიდუმლოებას შეადგენს. მაგრამ თუ ამგვარ დამოკიდებულებით ძმობილი ქალი დაორსულდა, ვაჟი ყოველგვარ ზომებს იღებს, რომ მას ჩუმიდ მუცელი მოუშლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ორივეს თემიდან საშინელი განსაცდელი მოეღოს. ძმობილის შერთვა სირცხვილია და სასტიკად აკრძალულია, დამნაშავენი თემიდან იღვენიებიან, მაგრამ ზოგჯერ მათ შორის ისეთი ძლიერი სიყვარულია, რომ სხვებთან შეუღლებაზე უარს ამბობენ და თუ მშობლებმა ძალა დაატანეს თავს იკლავენ-არის შემთხვევებიც, როცა შეყვარებული სწორფერნი ერთმანეთს შეაბერდებიან.



გათხოვების შემდეგ ქალს ეკრძალება თავის ძმობილთან რაიმე კავშირი ჰქონდეს, კაცი კი ცოლიანობის დროსაც განაგრძობს გაუთხოვარ ნაძმობთან სწორფრობას.

ხევსურეთში სწორფერთა წოლა შეიძლება მკაში, მუშაში, ქორწილში და „ახალუხალში“ (ლხინი-вечеринка) სადაც წოლა გრძელდება გათენებამდე, მაგრამ ისე უნდა მოაწყონ, რომ მოხუცებულებმა არ უნდა, მაინც და მაინც, დაინახონ. ხატობაში სწორფერთა წოლა აკრძალულია.

სწორფრობასთან დაკავშირებულია აგრეთვე ერთი ჩვეულება. როდესაც ხევსურს ვინმე ვაჟი ესტუმრება, მას საპატივცემლოდ ქალს დაუწვევენ, რომლის მოსაწვევად ელჩს გზავნიან. ხშირად ელჩობას ძმობილი კისრულობს და სტუმართან თავის ძმობილ ქალს აწვევს, რომლის ნამუსიანობაში და ერთგულებაში ის დარწმუნებულია, და რომ ამაში სხვებიც დაარწმუნოს, თავის ძმობილ ქალის გამოსაცდელად, ის მას უტყბოსთან აწვევს.

ელჩით მოწვეული ქალი, სახლიდან ერთ ბოთლ არაყს წამოიღებს და უკვე მწოლარე უტყბო სტუმარ ვაჟს ჩაუწვება. ვაჟი თავს იმიძინარებს, მაგრამ ქალი მას მაინც გამოაღვიძებს და არაყს დააღვიძებს, შემდეგ მას ართობს ტყბილ საუბრით და ხვევნა-კოცნით, მაგრამ ქალს იმდენად თავშეკავებული უნდა იყოს, რომ რაიმე უნამუსობა არ ჩაიდინოს. და მით არ შეარცხვინოს თავისი ძმობილი, რომელსაც მისი ნამუსიანობით თავი მოაქვს.

სტუმარ ვაჟსაც მართებს ამ შემთხვევაში თავშეკავება და არსებული წესები არ უნდა გადალაზნოს. თუ ვაჟმა მოთმენა ვერ შესძლო და თავის სქესობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ქალზედ ძალადობა იხმარა, მას სიკვდილი მოელის. მაგრამ ამგვარი შემთხვევები მათში იშვიათია, რადგანაც ისინი გაწაფულები არიან სქესობრივი აქტის უთვისლოთ ჩადენაში და შეილებსაც სურვილისამებრ იჩენენ.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სტუმართან წოლის დროს ზოგჯერ ქალ-ვაჟს ერთმანეთი მოეწონებათ და მათი სწორფრობა შეუღლებით თავდება.

ლექსები სწორფრობაზე

ბევრა დაჰყვება პოეტი ლექსებსა წარამარასა,
 მართალს ვერვინ გაიმბობს, ფანდურო, ჩემისთანასა,
 დღე თუ ღამ რომელნი ჯობნის, ხალხნო, მე გკითხავ ამასა,
 ტურფა ქვეყანა თვალი ჩინს სიკეთი დღეივ ძალასა,
 მუშაის სამუშავებლად სარჩოს შინ მოსატანადა,
 ცხვარ-ძროხა მათეინების, სძოვს მთასა და ბარადა,
 მნათობელი ქვეყნისა მზეი და ამუა თანაცა,
 ვააშრობს დილის ცვარ-ნამსა, მწყერ ყანას ეტყვის ნანასა,
 მაგრამ რო ღამე არ იყვას, ეგ ღმერთმაც დაიფაროსა,
 ნაქნარსა ქვეყანაზედა სიუფრეს¹ რამდენ მალავსა,
 ნამეტნავ ჭურდებისა და ვერ დაიწყებდის პარვასა,
 რა დადგას ღამის წყვედიადი ბევრას უხარის ქალასა,
 ძმობილთან წასვლას აპირობს, ძნელად რა დაიშალოსა.
 ამამარჯვებს ბოთლასა, ჯალაფად მანაპარავსა,
 ვაჟიც მოელის სწორფერსა არ უცდის პურის ქამასა.
 წაფა ლოგინჩი დაწვების, გააბიმბულებს ჩალასა,
 უცბად გაუფლის გონჩია თან მიიფიქრებს ამასა,
 ვაი თუ არ მამივიდას, ან რაი დაეშალოსა.
 ქალი მიდის წყნარი ბიჯითა, არ დააჩქამებს² ჩალასა,
 ვაჟკაც თავ მიიმძინარებს, მძინავ ატყუებს ქალასა.
 ქალ მაინც გამაალვიძებს, ბევრს არას დალევს ხანასა,
 მაგარიც დამძინების, მოყმე დაიწყებს ზახვასა.
 სამადლოს საქმეს ვინ იზამთ ქალ-ვაჟად ელჩის თანასა,
 ელჩო გულ ნუ გაგიტყდების, ქალ მაინც იტყვის არასა.
 კაცსაც რო უთხრა, ისიც კი დაგიწყებს წარამარასა,
 ორთავ თუ ეცინებოდას, მხარს ხელ გახკიდე ქალასა.
 ა ეგ ლექს დაუბარებავ კახთია ალაშქარასა.

დღე-ღამე რომელი სჯობის, ბიჭო, მეკითხა მავასა!
 დღეს რო არ ჰქონდეს ღამეი, ეგეც ღმერთ დაიფაროსო..
 რა დადგის ღამის წყვედიადი ბევრას უხარის ქალასა,
 ძმობილთან წასვლას აპირობს, ძნელად რა დაიშალოსა.
 ბიჭი დააგებს კრელ ხალიჩასა, დააჩუნწულებს ჩალასა,

¹ სიბოროტე.

² არ გაახმაურებს.

ქალი მივა წყნარი ბიჯით არ გააჩქამებს ჩალასა,
 უბეში ბოთლას ჩაიდგამს ჯალაფთა მონაპარავსა.
 ბიჭი წვეს და შერინავს ძინავ ატყუებ ქალასა,
 ქალ მინც გამოაღვიძებს არ ალევინებს ხანასა.
 ყბა რო ყბას გამოაქადნოს კერდი კერდს დაეხლოსა,
 ერთად იწყებენ ტუკტუკსა პირიდან ნერწყვის პარვასა.


ვერ ამომიხოლ ენითა, ნუ ამეკიდე ქალსაო,
 ეირში ყანა მოგიხნავ აღარსად დაგვიგვალამსო.
 დასთესე დაუთესავი აღარავინ დაგიფარავსაო,
 ყველაი ამბობს მართალსა, არავინ არ დაგიმალავსო,
 შენ ხომ არ ინდობ ქალებსო მესუყეფურთო ყანასო,
 სიმართლი ჰკითხე ხეყსურო თაიასა და თალასაო,
 ამბობენ დაფოლებულსა შენს ნასწორფრალას ქალსაო,
 ხელდახელ უხსნი ფარაქსა¹ სწავლულ ხარ ანაბანსაო,
 შავიშინებაე ქალები, გამბობენ ხათაბალასაო,
 გვერდი ნაწოლებ ქალებსა, წახკიდევ წარამარასაო,
 გინდა ძალიან გეწყინოთ ხეს გავსთლი შენისთანასაო.

ქალი ვარ შადიდებული, ტანიჩი ვარ შახერებული,
 ვაჟკაცი ხელა შამდგარი თმა ჩუბა დაყენებული.
 ქება რად გინდათ ქალებო, პირზედ აქ დაწერებული,
 შამიქით აისეთაი რო ღირდას ახსენებელი,
 კაცთავან ატეხილ იყვეს, სწორფერთან აღელებული,
 მხესა ვავს ჩემი ძმობილი, დარს მავა დაშენებული,
 ქურდ ბოზთან წილ არ უძეს, არც თავ აქ გაფერებული,
 ნაღღია გარმოწურული ციფირად დაწერებული.

ქალს რა უძევს გულჩია, ცნობათამცა ქნა ვაგება.
 ქალი რო კაცთან დაწვება საუკნიახოთ შადგება.
 კაცი ხელ გააჩუჩუნებს, შაიშლებს გარდიოჯხება,
 ავდგები ჩაიფიცების ზოგს ნახევრობა ვაზუნება.
 მეექვეც ტკბილის ენითა, თანდათან ახლოს მიღწვება,
 რახან დილის ხან მაეიდას, მაშინ ლოგიჩი დატკბება,
 ადგომა აღარ სწადიან, მხარს წამოიგდებს დაწვება.

¹ საგულე.

14.956
 3



აი, იმ მთასა ვახენე, ნაქერ გადმოაქვს მთათაო,
 რას მეშარები ხევსურო, რაზე წამკიდე შარსაო.
 შენ თუ კლალ დაჩვეულობარ, სწორფერის ღილის ხსნასაო,
 ქალების გამჩვენობას ენა ვაგიგდას ყბასაო.
 ძე შენისთანა ხევსურსა არ ვეყრებოდი გზასაო,
 გზის თავზე გადაგკილდები, მაღლა ავიტან თავსაო.
 ფეხზე ჩავიცვამ ჩუსტებსა, აღარ ვიკადრებ ჯღანსაო,
 ჩავიცვამ დარაიასა, არ გადავხენებ შალსაო.
 წაუვალ აი ისეთასა, წყლის კვალსას სვამდეს ჩასაო.
 არ აკეთებდეს საქმესა, იმსახურებდეს სხვასაო.
 ვერ შეიყრები გზაჩია, ცხვარივით მოგპრის თავსაო,
 წელზე აისხამს აბჯართა, თემლაკ შეიბამს ხმალიო,
 აღარ ვიანბობ ლექსებსა, სრუ მოანებებ თავსაო,
 ვაგწირავ ხევსურის შვილო, შენ დაგანებებ სხვასაო.

ორშაბათ გათენებადაც ცრემლა მოილო კრიალი,
 გადმოვიტანე თანდური ლაემ გაილო ძგრაალი,
 ანდებრძად არ მოდიოდა მაგოდენ ზრიალ-გრიალი,
 ქალების მიდენ-მოდენა ლამე არ არცხენის ტიალი.
 ვინ ვის გყავს გამარჩეული მერღლიანი და ჯვრიანი,
 სითაც რას შეაქებ ვისაც გულ უძევს წყლიანი.
 ქებაი იმას შეხდების ქორ-შავარდენა მხრიანი,
 სულ ყველას გამეჭებული ქალრძალში ნამუსიანი.
 ყველგან პირ გაუწბილებია, ამომავალი მზე არი,
 თუ კიდევ სად რა ვავიგონე, სიტყვა იყურან გზიანი,
 ეწლრუბლიანში ვიამბე, მაშინ იქნების მზიანი.
 ამას სიტყვების ნაოქვამი აქიმის ქალი ჭკვიანი.

წაილო წინა-ხადოს თავი კორკოტამა და ღვარამო,
 სამრველო¹ ჩამომიშალა, ჩამომდინარმა წყალმაო,
 პირ იქითელა. ვაჟაო, შენ რაიმ დაგებარაო.
 გიკვეხნა ქალებშია სათითე გამიცვალაო.
 ბოთლაი არაყიანი ლოგინჩი მომიტანაო.
 რახელ სათითეს ვაგიცვლი, რა გზაჩი შეგეყარეო,
 წავილა ჩენის ძირულმა, ალაღებულმა წყალმაო.
 გიძია თელმა სოფელმა, ველარ მოგხელა ჯვარამო.

¹ საქალებო ქობი, სახლიდან მოშორებით.

ქალაქის ბოლოს გავილა, ველარ გიტირა დამო,
 გაიგონე და გაიგე აღარ მინდინხარ არო,
 თვალმი და არა გნახამდეს, ზედ რამემც დაგაფარო.

ქალის გულისად ვაქო ეძმობილე მდარესა,
 მაგისხამს ქოჩორეებსა, არ გამაგიშვებს ცალესა.

ჩამოგიარე ჯიჯეთო, ველიანო და ტყიანო.
 სად რა ხარ, ჩემო ძმობილო, თვალჭრელო, ყვითელ-თმინო.

ბებერო ჩემო ფანდურო, საშიბეს გიდებ ორდოლსა,
 შე დაბერებას ვაპირებ შენ მიმიტე ქკვა გონსა.
 წყალ იქით ელიზბარასა, ჩემ ძმობილს ვინ ჯობს გოგოსა,
 არ კადრობს თათის ძველათა, ბანზე ჩუშტებით გოგავსა,
 ყელყური მთვარესავითა, თვალეშ შაუგავ ხოხობსა,
 ყველასთან არას დაწვების, ზოგ ზოგიმც მაეწონასა.

წინ წინ რო დავწევ ქალთანა, მაშინ მოგწიე საყელო,
 შაიშალ გადაილახა, რა სჩა შე ვირის ნაშენო?
 კაწრით რა ჩამომიტანე სირმით შაკრული საყელო,
 დედას რა მავატყუო, ბნელაში რადა ვკერავო?
 მერმე გამოვალ ვიძახებ, მთელს ქვეყანაზე მოგფენო,
 ნუ იტყვი, ჩემო ქალაო, ნემს ნაჭერს მეაც მაგცემო,

ძმობილო, ძმობილის მზესა, სხვას ნუვის ეძმობილები,
 შენსა მომკლავსა, ძმობილო, შვიდ წელს არ დავეზავები,
 გზაჩი ჩაუდგამ საყუჩსა, ირმულად ჩავეპარები,
 თუ ამანაც ვერ მაკლა, კერაჩი შავეტანები.

ხუთშაბათ დაღამება ძმობილს ვარ შაპირებული,
 არცაფთ წასავალია საქმეა გაჭირებული.
 აღარცა მიაშობს დედაე, ბერია გაფრთხილებული,
 დიდ ხანი არა ვყოფილვარ ძმობილთან დაძინებული.
 ის არ გეგონოს, ძმობილო, ნდობაი აქუ დაცილებული.

გარმოგიტანე ფანდურო, დავიკარ მაძახურო,
 როდის რა მოხვალ ზამთარო ლექსებში გაგახურო,

ვინ რა გასწავლა ქალაო წოლაჲ არაგულაო,
 რად არ დასწევები რიგზედა, ქალო, რას გულამ ბრუნავო
 რო შაგხვდას დედის გაზდილი, ამაში რალა გგულავო,
 რა კარგ გყვანიყვა ძმობილი, ფარავ რო გარმაგხუროო.
 ქალის ზედწოლა რად მინდა, სადამას დავიხუროო,
 როდის რა მოხვალ ჩვენშია თემებში საფეხუროო.

მეც მინაწილე მიქაო, მწყემსი ვარ თეჰიანი¹,
 მეც მინაწილა მიქამა მწყემსი ვეგონე ცხერიანი.
 წყალზე გამგზავნა მიქამა, ხელ მომცა ვეშლაპიანი²,
 ქალაზე შამამავალი ირემ ვეგონე რქიანი.
 წამომყარეს ისარი, ფოცხ მაკრატელა თბიანი,
 სიმურში შამოვიჩქვიფე³, რქის წვერთ გაიღეს გრიალი,
 შემომეყარა მოძმეჲ პირქუში ნავთის წყლიანი,
 საიდან მოხვალ გიორგი დაღალულ პირ ოფლიანი.

მზე ბუდობაჩი მწვიმელო, ზაფხულსაც მოემატებევ,
 ქალი ვარ გულზედ მოსული ენაჩი ნულამც ჩასდგები.
 მთიბელ-მომკალჩი არ წავალ, თუ წავალ აღარ დავდგები,
 გზაჩი რომ შამხვდე, ძმობილო, აგძრახდებ აღარ დავდგები,
 ჩვენში რომ მოხვალ სტუმრადა, შენთან კი აღარ დავწვები,
 ვერ გახვალ შუღლის ბოლოსა მეჯაბრეს ვერვის გასწვდები.

ხუთშაბათ გათენდებოდა თვალზე მდიოდა ცრემლიო,
 გამაწირინეს ძმობილი მომაწერინეს ხელიო.
 გული ვერ გამომიცვალეს ჯავრით იამბეს ბევრიო,
 გაგწირავ შუა უბნელო უნდა ავილო ხელიო.
 თქვენ იყვეს ბათირის შვილი ძმობილი აღარ ჩემიო,
 გულად ჩავიდა ნდომაი, თანთან ამხადა ფერიო,
 აწდგე აღარ მოგიხდეს, ვაჟავ, გინება ჩემიო,
 ამაგის ლექსობაჩია ამოსულიყვენეს მზენიო.
 სოფლის თავს გადმოვიარე ხელჩი მეჭირა ცხენიო,
 შენ იყავ გაჯავრებული, სიტყვა მიძახე სენიო,
 ერთმანეთს თავ გავანებათ, აწ ნება იყვეს შენიო.

¹ ბუშლატი.

² წყლის ქურჭელი.

³ შეტოპვა.

ჩაგიკრავ გაყეკაურო¹, რახან ავილა ხელშია,
ყველას ვიამბობ მართალსა რააც თავს ვადამხედია
ადგა ვაიქცა ქალაჲ ჩემთან ნაწოლი გვერდია,
ბეჩავს რა მთარბოლებდა, თუ კი მე დავიწვენიდა
ქაჯიჲა და ქერქაჲ მითხრეს ერთუთის მხრებია,
ვაბედეს ბუნტოჩიკობა, მოძრეს და მოძრეს ზღვებია,
ნეტარ რაჲით რა მომბენ, რა არაჲაქვეთ ხელჩია,
ალბათ უწყევავის ჯიბაჩი პატარა რივოლვრებია.
ქაჯიჲავ, ჩემო ძმობილო, არხოტად ვადმოხედია,
ერთი ღამე მთაზე ათენე დილაზე გამაცხებია.

დაბერებულხარ, წიწმატო, ველარ მაგასწვერ მხალსაო,
მომწყინდი ყუველიანი აღარ მინდიხარ ქალსაო,
საბოსლომ² ჩამომაბერა ქარი სკოდნიყო მთასაო,
მზეჲ საძელეს არ მოდის, ჯუთავ არ ვავლებს თვალსაო.
თუ მახვალ ვაგამძობილებ შეთეს ჩემსა ძმასაო,
ბევრა ქალ გამოვაქედლე შენის ოთახის კარსაო,
ქვე მიგვიხველა გიჲაო, ქვე გვანებება თავსაო,
ყოფილხარ სასალდათოჲ და გენაცვალოს ტანსაო,
ქვე გვიწირავა დიაცსა ღამაზს ბერდიაშვილს ქალსაო.

ხუთშაბათ ვათენებადა ღრუბელ დაცვა მთათაო,
ჯალაბ მწყემსობათ წამლალეს, ქათიბ ჩავიცივი ჭრელიო,
ხევსურეთისკენ ვავხენე თვლებს მომადგა ცრემლიო,
სადა ხარ, ჩემო ძმობილო, ლუჯა სად რა გყავს შტერიო.
ოთალის კარზე თამაშობს აქმიე, თივა ქერიო,
მადიან მოკითხულობენ არქიელ სადა ჩვენიო,
ოთაღი არქიელასა ედგა ლოგინი ჭრელიო,
ნურას ავინებთ, ქალებო, არ ას ძმობილი თქვენიო.
ეგეთებ ძმობილები გყავთ, რო დაამლული მგელიო,
ქალმა თქვას აეგეთამა ქალიყვეს ქალთა ფერიო,
თუ არა მელიას გვიხარ, შენ შეგინება ძნელიო,
სალდათა მოკითხული ვარ, ხელიც კი მოწერილიო.
ზღვას კი არ ვავალ, ძმობილო, არ ვავალაღა მტერიო,
არ ვინ უანბა ფეტვასა ე ლექსი ჩემ ნათქმელიო,

¹ საკრავი.

² ქალის თვიურის და მოსალოგინებელი ქობი

მე კი წამივალ შორადა, დაო იმედ მაქ შენო,
 ძმობილებ არ გაულაღებ, ბივრ ქალეზია მტერიო.

მტერს მოუვიდას ვგრეო, მე მომივიდა წელსაო,
 ქალეზ მუქარა დამთხოვეს, ნუ იარები ჩვენსაო.
 თქვენც გამწირეთ ქალეზო, ნუცრუ ნუ მიხვევთ ხელსაო,
 დროებამ ჩამოიარა ყველა გასწირავს ძველსაო.
 თქვენაც გამწირეთ ქალეზო, ნუცრუ ნუ მიხვევთ ხელსაო,
 მე მაგით რას ვინაღვლიდი ჯერ ბალახ იცვლის ფერსაო,
 იქავ კი მოგიფანტავდით ვაი ძმობილებსა თქვენსაო,
 ერთია თქვენი ძმობილი, აბა ვის მეტყვი სხვასაო.
 კარჩი გამოსულ მენახა, გვანდა ჭანჭახის მყვარსაო,¹
 დაანებითდით ერთურთსა პირზე ნუ გახდი ტყავსაო,
 რო ვლნახა ჩემი ძმობილი, შორით დაუცემს თვალსაო.

პარასკეე გათენებადა, გარმონ მიჭირავს ხელსაო,
 ჩემის გარმონის ეერაი მიდ-მოდოდა თემსაო,
 ჩვენში მოსული სტუმარი არ დლიანდების ერთსაო,
 ლოგინს კი არას დაუგებ, დავაწვენ ჩალა მტვერსაო,
 ზე შემოაყრით ტყლაპ-ტყლუჰსა ძმობილის მაგიერსაო.
 თქვენ რო გყვანიასთ ქალეზი გროშად არ ვარგის ერთიო,
 მაგოდენ ტილებ ასხია, ყანას რო სთესავ თესლიაო,
 წიწიმოებში ჭახები, ზამთრის საქონს რო ყელჩიაო.

აბეჩავ, ჩემო გარმონო, ნაოქის თავო ცვრიანი,
 დუშმანთ კარებზე მალაღებს ძმობილს ცხენის დგრიალი.
 ცხენ უნდა გვეყანდეს, ძმობილო, იორლა გულით მზრიანი,
 ზედ ედგას კმაზულობაი კრელი სრუ ნასევდიანი.
 ზედ თავად შეჯე შუღლიავ, ხევსურასავით მტრიანი,
 ფეხები უზანგაჩია, ტრახტებს გაქონდეს წკრიალი,
 წელზე გბავ ქისტისაული კრელი სრუ ნასევდიანი.
 ნალესი ზუმფარაზედა, სამსალასავით ფხიანი.
 ოქროს არაყი ნაღები ხანჯარი ნასევდიანი.
 ომს ეგრე მოგაწადინებს თვრალს, რომ ფშაურად ღრიალი,
 რა ხე კარგია ვაეკაცი დუშმანიანი მტრიანი,

¹ ბაყაყი.



ხან გაიგონას ქებაი, ხან სიტყვა გინებიანი.

ბევრას ხევისურას შემოჰკარ, ვაჟას ბევრს უყავ ზიანი,
ხმარება ბევრსა დასცილდა წელს დანა ება ფხიანი,
ამავის მალექსობელი გვარად ვარ გორდებიანი,
ზიარ სარგებლის სწორე დუშმანთად ხამაზდიანი.

ამ მასალების განხილვის შემდეგ, ჩვენ მოკლედ შევადარებთ ერთმანეთს წაწლობა-სწორფრობას, რომ გამოჩვენდეს იყოს მათი წესების მზგავსება-განსხვავება.

წაწლობა და სწორფრობა შეიძლება ნათესავთა და უცხოთა შორის, რომლებიც ერთმანეთს ნამძობ-ნადობს უწოდებენ, ხევისურეთში კი მხოლოდ-ძმობილს, წოლის წესები წაწლობა-სწორფრობაში თითქმის ერთიდაიგივეა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ფშავში ქალთან ვაჟი მიდის, ხევისურეთში კი, წინააღმდეგ, ვაჟთან ქალი უნდა მივიდეს. გარდა ამისა, ხევისურეთში ძმობილი თავის სწორფრ ქალს სტუმართან ელჩობას უწევს და უკანასკნელთან აწვევს, რაც ფშავში მიღებული არ არის. ერთი თემის და ხატის წაწლებ-სწორფრთა შეუღლება ორივე კუთხეში სასტიკად აკრძალულია. წაწლობა ფშავში ყველგან და ყოველთვის შესაძლებელია, რომელიც აგრეთვე ნებადართულია ხატობა დღეობებშიაც და საზოგადოდ იქ წოლა გრძელდება მამლის ყვილიამდე. ხევისურეთში სწორფრთა წოლა ხატობაში სასტიკად აკრძალულია და სხვა ადგილას და დროს გრძელდება დილამდე. ერთი სიტყვით, ამ შედარებიდან ირკვევა მათი წესების ნათესაობა, მაგრამ მაინც, რასაკვირველია, მეტად ძნელია იმის გადაჭრით თქმა, თუ რომელი მათგანი უფრო ძველი და პირვანდელი სახეობის მატარებელია. მხოლოდ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ფშავური წაწლობა უფრო ძველი წესების შემცველი უნდა იყოს, რომელიც თავისი რიტუალობით, როგორც დღევანდელ ხატობასთან, აგრეთვე ძველად რომელიმე წარმართ ღვთაების კულტთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მით უმეტეს, ჩვენ ვიცით, რომ უძველესი ზნეობრივი კანონები გამომდინარეობდნენ სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობიდან და როგორც ამგვარ ნიშნების მატარებელი შესაძლებელია წაწლობა მიჩნეულ იყოს უფრო ძველი წესების შემცველად, ვიდრე სწორფრობა, რომლის დღევანდელი წესები ხატობასთან უკვე დაკავშირებული არ არის. მაგრამ მიუხედავად ამისა, სწორფრობის პირვანდელი წესები შესაძლებელია რომელიმე ხატობასთან დაკავშირებული ყოფილიყო და მხოლოდ შემ-

დევში ქრისტიანულ მოძღვრების ზეგავლენამ მისი წესების აღსრულება უკვე გაქრისტიანებულ ხატობაში აკრძალა.

უნდა აღენიშნოთ, რომ წაწლობის მაგვარი სამღვთო როსკიპობა ძლიერ გავრცელებული იყო ძველად, განსაკუთრებით მცირე აზიაში, სადაც ის დაკავშირებული იყო ქალ-ღმერთის „დედა“ მშობლის კულტთან და მცირე აზიაში ცნობილი იყო სხვადასხვა სახელით. სხვათა შორის იგი ცნობილია კიბელის სახელით, რომელიც ნაყოფიერების, მცენარეულობის და ბუნების სიციცხლის ქალ-ღმერთს წარმოადგენდა და მისი კულტი იმით ხასიათდებოდა, რომ მორწმუნეები მის გამოჩენას ორგეებით ხედეზოდენ¹.

ამ მხრივ თუ ჩვენ ღვთაება კიბელას კულტს შავადარებით ფშავურ ლაშარის ხატობას, რომელთანაც განსაკუთრებით დაკავშირებულია სამღვთო წაწლობა, როდესაც თვით ხატის ქალები და კაცებიც ერთმანეთთან წაწლობენ და აგრეთვე იმ გადაქარბებულ საზოგადო სიმთვრალეს და ლხინს, რომელსაც მეხატენი ექსტაზში მოჰყავს, მათ შორის ბევრი საგულისხმიერო მზგავსებას აღმოვაჩინო. ამრსთანავე ფრად საყურადღებოა მიხ. წერეთლის აზრიც, რომელიც ღვთაება კიბელას და ხეთურ იშხარა-მიწისდედოფლის შორის ერთგვარ ნათესაობას აღნიშნავს და ამ უკანასკნელს უკავშირებს აფხაზურ ღვთაება—„აჟაპარა“ ან „აშხარა“-ს—ფუძის ანგელოზს². ამგვარ მიდგომით, რასაკვირეელია, მეტად საინტერესოა ქართულ წარმართ ღვთაებათა კულტის შესწავლა, რომ შესაძლებელი იყოს წაწლობის მაგვარ სამღვთო როსკიპობის წესების გამორკვევა. გარდა ამისა, თვით ბოლანკოეში ახლად აღმოჩენილ ხეთურ კანონებიც საკმაოდ ენათესავებიან, თავიანთ უფლებრივი ნორმებით, დღემდე არსებულ ფშავ-ხევსურულ სამართლის წესებს. მაგალითად, ხეთურ კანონებში, სხვათა შორის, ისეთი მუხლებიც მოიპოვება, სადაც წაწლობა-სწორფრობის მზგავსად სქესობრივი კავშირი ნათესავთა შორის ნებადართული ყოფილა (იხილე Хеттские законы, მუხ. 80)³.

პირველი მკვლევარი, რომელმაც წაწლობის მცირე ცნობები მეცნიერების სალაროში შეიტანა მ. კოვალევისკი იყო, რომელ-

¹ Н. А. К у н. Предшественники христианства Моск. 1922. გვ. 47-65.

² მიხ. წერეთელი, „ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“ გვ. 14—37. კონსტანტინეპოლი 1924 წ.

³ „Хетты и хеттская культура“ გვ. 127—152. Культура Востока 1924 г

მაც წაწლობის წესები დედისუფლების (Mutterrecht) ნაშთად აღიარა და ამით საფუძველი დაუდო ქართულ დედათმთავრულ ან „მატრიახატი“-ს თეორიას.¹

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ დედისუფლების წარმოშობის დაწახასიათებელ თვისებად, მეცნიერთა ერთი ჯგუფი ეგზოგამიურ სქესობრივ დამოკიდებულებას აღიარებდა, მეორენი კი ენდოგამიურს² მ. კოვალევსკი პირველ ჯგუფს ემხრობოდა და ეგზოგამურ თეორიის თვალსაზრისით იხილავდა ფშავურ წაწლობის წესებს, რომელიც სრულიად ვერ ხსნიდა ნათესავთა შორის წაწლობის არსებობის მიზეზებს, რომლის შესახებ კოვალევსკი სრულიად სდუმს და როგორც ცალმხრივ თეორიის მიმდევარი წინააღმდეგობაში ვარდებოდა. ჩვენ თუ გავიზიარებთ დედისუფლების ენდოგამიურ თეორიას, რომლის მიხედვით შესაძლებელია იყო სქესობრივი კავშირი ნათესავთა შორის და ამ თვალსაზრისით გავაშუქებთ წაწლობა-სწორფრობის წესებს, მათ შორის ჩვენ ბევრ საგულისხმეო მზგავსებას აღმოვაჩენთ. ჯერ ერთი, თვით სახელწოდება: ნადობი, ნაძმობი და ძმობილი განცილდნენ ენდოგამიურ წესების ნაშთი უნდა იყოს. შემდეგ, ნათესავთა შორის წაწლობის არსებობაც შესაძლებელია აიხსნას მხოლოდ ენდოგამიურ წესების ჩვენში არსებობით.

გარდა ამისა, ფშავურ წაწლობაზე და ხევსურულ სწორფრობაზე დამყარებით, ქართულ დედათმთავრობის დახასიათება ცალმხრივობასთანვე დიდ მეთოდოლოგიურ შეცდომადაც მიგვაჩნია, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ ამგვარივე ხასიათის ჩვეულებები საქართველოს დანარჩენ კუთხეებშიაც მოიპოება, როგორც, მაგალითად, სვანეთში³ აუხაზეთში, სამეგრელოში და შესაძლებელია სხვაგანაც, რასაც მხოლოდ მიკვლევა და აღმოჩენა სჭირია. ამიტომ წაწლობა-სწორფრობის წესების, საქართველოს სხვა კუთხეებთან მოწყვეტილად შესწავლა და მათი ინდოევროპიულ ველურ და მდაბიო ხალხთა მზგავსივე წესებთან შედარებითი შესწავლა, როგორც ამას მ. კოვალევსკი იკვლევდა, დღეს შეუწყნარებელია.

ჩვენ მხოლოდ შესაძლებლად და ამ საკითხის სწორ გაშუქების

¹ М. Ковалевскій, Законъ и обычай на Кавказѣ, т. I, гл. 22: т. II, гл. 96—101.

² К. М. Тахтарев, Развитие человеческого о-ва и обществен. форм., част. I, гл. 159—190. 1924 г.

³ Б. ჩიმაკაძე, თავისუფალი სვანეთი, ძველი საქართველო ტ. II, გვ. 18—24.

აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, რომ წაწლობა-სწორფრობა და მათივე ხასიათის საქართველოს დანარჩენ კუთხეების წესები ჯერ შესწავლილი და ურთიერთან შედარებული უნდა იქმნეს, შემდეგ საქართველოს სივრცეზე გამორკვეული უნდა იყოს მათი უძველესი სახე და წარმოშობის მიზეზები, თუ რომელ კულტურულ ეპოქის ნაშთებს ისინი უნდა წარმოადგენდნენ.

ჩვენი მიზანია, რომ ამ მხრივ ბუშაობას ხელი შეუწყოს და ჩვენ მიერ შეკრებილი და აქ მოთავსებული წაწლობა-სწორფრობაზე მცირეოდენი მასალამ, ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებას ერთგვარ დახმარება გაუწიოს აღნიშნულ წესების შესასწავლად.

24/5-708!

ს. მაკ.

